

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის**  
**აკადემიური საბჭოს**  
**2014 წლის 8 დეკემბრის**  
**დადგენილება № 1350**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო კურსის შიდასაუნივერსიტეტო უნიკალური კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ადგენს:

1. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების ყველა სასწავლო კურსს (საგანს) მიენიჭოს შიდასაუნივერსიტეტო უნიკალური კოდი.
2. დამტკიცდეს სასწავლო კურსის (საგანის) კოდის მინიჭების წესი (თან ერთვის).
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2007 წლის 27 თებერვლის №2 დადგენილების დანართი 2-ის მე-11 პუნქტი.
4. უნივერსიტეტის ფაკულტეტების დეკანებმა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა მიმდინარე წლის 22 დეკემბრამდე უზრუნველყონ მათ ფაკულტეტებზე არსებული საგნების ჩამონათვალის მომზადება ცხრილის სახით, სადაც ცალ-ცალკე სვეტებში მითითებული იქნება თითოეული საგნის ძველი და ახალი წესით მინიჭებული კოდები.
5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ოთხი თვის ვადაში უზრუნველყოს საგნების ერთიან ბაზაში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.
6. დადგენილების ამოქმედების შემდეგ შედგენილ ყველა სილაბუსს კოდი მიენიჭოს ამ დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
7. სასწავლო პროცესის ელექტრონული აღრიცხვის კოორდინატორმა (ლ. იმნაიშვილი) უზრუნველყოს სასწავლო კურსის (საგანის) კოდის მინიჭების წესის გათვალისწინება სტუ-ს მართვის ინფორმაციულ-ანალიტიკურ ავტომატიზებულ სისტემაში.
8. კონტროლი დადგენილების შესრულებაზე დაევალოს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს (გ. ძიძიგური).
9. დადგენილება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი

გ. სალუქვაძე

### სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესი

1. საგნის კოდი შედგება ათი ძირითადი და რამდენიმე დამატებითი თანრიგისგან. დამატებითი თანრიგი ჩვეულებრივ არ ჩანს და გამოიყენება მხოლოდ სპეციალურ პროცედურებში (მაგალითად, მეცადინეობების ცხრილების ავტომატური შედგენის დროს). დამატებითი თანრიგები ძირითადი ნაწილისგან გამოყოფილია ტირეთი.
2. კოდის ძირითადი ნაწილის პირველი ხუთი თანრიგი (მარცხნიდან) წარმოადგენს საგნის აბრევიატურას ინგლისურ ენაზე დასახელების მიხედვით. მათგან პირველი სამი თანრიგი არის ლათინური ანბანის ასო, ხოლო მეოთხე და მეხუთე შეიძლება იყოს როგორც ასო, ასევე ციფრი.
3. მეექვსე და მეშვიდე თანრიგები არის ციფრი და აღნიშნავს იმ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის (მაგალითად, ფაკულტეტის) რიგით ნომერს უნივერსიტეტში მიღებული რიგითობის შესაბამისად, სადაც მომზადდა ამ საგნის სილაბუსი.
4. მერვე თანრიგი არის ლათინური ანბანის ასო და აღნიშნავს სწავლების ენას (G - ქართული, E - ინგლისური, D - გერმანული, R - რუსული).
5. მეცხრე თანრიგი არის ლათინური ანბანის ასო და აღნიშნავს პროფესიული თუ აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებისთვის არის გათვალისწინებული ეს საგანი (P - პროფესიული, A - აკადემიური).
6. მეათე თანრიგი არის ციფრი და აღნიშნავს სილაბუსის ვარიანტს (უნივერსიტეტში შესაძლებელია იყოს ერთი და იგივე საგნის რამდენიმე პროგრამა, ძირითადად სილაბუსის ავტორის მიხედვით).
7. დამატებითი თანრიგები აღნიშნავენ სწავლების ფორმას და არის ლათინური ანბანის ასო (L - ლექცია, S - სემინარი (ჯგუფში მუშაობა), P - პრაქტიკული, B - ლაბორატორიული, K - საკურსო სამუშაო/პროექტი, R - პრაქტიკა).
8. სასწავლო კურსის (საგნის) კოდს ანიჭებს სასწავლო კურსის (საგნის) პროგრამის ავტორი და ამონებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.
9. სასწავლო კურსის (საგნის) კოდი აუცილებლად უნდა იყოს მითითებული როგორც მის სილაბუსში, ასევე საგანმანათლებლო პროგრამასა და ყველა სხვა დოკუმენტში, სადაც მოითხოვება საგნის კოდის მითითება. ამასთან, სილაბუსში და საგნების ერთიან ბაზაში ელექტრონული სახით მოცემულ ჩამონათვალში იგი წარმოდგენილი უნდა იყოს სრული სახით, ხოლო სხვა დოკუმენტებში, მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამებში, მხოლოდ მისი ძირითადი ნაწილი.

მაგალითი: MAT0108GA1-LP - საგანი „**მათემატიკა 1**“, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი) – „**08-ინფორმატიკისა და მართვის სისტემების**“, სწავლების ენა - „**G-ქართული**“, აკადემიური უმაღლესი განათლება -**A**“, სილაბუსის ვარიანტი -**1**, სწავლების ფორმა - „**LP-ლექცია, პრაქტიკული**“.